

## კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 შპს „კოლეჯის ხვალინდელი წარმატებისათვის“ (შემდგომში – კოლეჯი) ბიბლიოთეკა არის სასწავლო ბიბლიოთეკა, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.
- 1.2 კოლეჯის ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონით და აგრეთვე კოლეჯის შინაგანაწესით.
- 1.3 კოლეჯის ბიბლიოთეკის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, ბ.გაბრიელ სალოსისი გამზირი N191გ..
- 1.4 ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგია: ორშაბათი - პარასკევი, 0900:1700.

### მუხლი 2. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანა და ფუნქციები

- 2.1 ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესების ხელშეწყობა.
- 2.2 ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციებია:
  - ა) საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება მეცნიერული და კულტურული ღირებულების მქონე ქართული და უცხოური გამოცემებით; მათი დაცვა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
  - ბ) ელექტრონული კატალოგების შექმნა, საქართველოში მოქმედი ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
  - გ) საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვის ხელშეწყობა;
  - დ) საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - ე) ზრუნვა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

### მუხლი 3. ბიბლიოთეკის პერსონალი

- 3.1 ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელსაც ნიშნავს კოლეჯის დირექტორი.
- 3.2 ბიბლიოთეკარი:
  - ა) წარმართავს ბიბლიოთეკის საქმიანობას;
  - ბ) პასუხს აგებს ბიბლიოთეკის ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;
  - გ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის, მკითხველთათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;
  - დ) უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურებას ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, კატალოგებით და სხვადასხვა სახის ინფორმაციით. მისი ძირითადი საქმიანობაა:
    - ა) წიგნების მიღება, დამუშავება და მათი არღიცხვა ელექტრონულ და ქაღალდის კატალოგებში;
    - ბ) პერიოდულ გამოცემათა დამუშავება და არღიცხვა.

#### **მუხლი 4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები**

- 4.1 ბიბლიოთეკაში გაწვევრიანებისათვის სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და გაიაროს რეგისტრაცია;
- 4.2. მკითხველი ვალდებულია დაიცვას სიჩუმე, წესრიგი, საზოგადოებრივი ქცევის და ჰიგიენური ნორმები; დაათვალიეროს ლიტერატურა მიღებისას და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს მომსახურე პერსონალს. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი პასუხს აგებს დაზიანებულ მასალაზე; გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის ქონებას.
- 4.3 არ შეიძლება: მინაწერის გაკეთება ბიბლიოთეკის ეგზემპლარზე, ფურცლის ჩაკეცვა და სხვა სახის დაზიანება; შენობაში თამბაქოს მოწევა; ბარათების ამოღება კატალოგებიდან; წიგნის გატანა სამკითხველო დარბაზიდან უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე; სამკითხველო დარბაზში მობილური ტელეფონით სარგებლობა.

#### **მუხლი 5. წიგნების გატანა და დაბრუნება**

- 5.1 წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან გადაიღოს მისთვის საჭირო გვერდები;
- 5.2 სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით;
- 5.3 რამდენიმე ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ერთი კვირით;
- 5.4 სალექციო მასალები, ჟურნალები, წიგნები და სხვა მსგავსი, რომელიც მასწავლებელს განკუთვნილი აქვს ლექციისათვის და სტუდენტების ყოველდღიური მოხმარებისთვის, ბიბლიოთეკიდან შეიძლება გატანილ იქნას მხოლოდ 24 სთ-ით;
- 5.5 გატანილი მასალის, ან წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას და საჭიროების შემთხვევაში ხელახლა გაიტანოს დადგენილი ვადით.
- 5.6 თუ მკითხველის მიერ რაიმე მიზეზით ვერ ხერხდება წიგნის ბიბლიოთეკაში დაბრუნება საჭირო დროს, გადაცდენის მიზეზი აუცილებლად უნდა ეცნობოს ბიბლიოთეკარს;
- 5.7 გატანილი მასალისა და წიგნის დაკარგვის შემთხვევაში დამკარგავი იხდის მასალის ან წიგნის სრულ ღირებულებას.

#### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი**

- 6.1 ბიბლიოთეკის დებულებას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
- 6.2 ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.